10. მაჭარაშვილი კარლო — ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე



11. ნიკოლაიშვილი თამაზ — ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკური მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სწავლულ მდივანი
12. ხმალაძე ლია — ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკური მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციის მდივანი
13. შველიძე ნიკო — გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქტორი

№	სახელი	მისამართი	ფუნქცია
1	ნიკოლაიშვილი თამაზ	ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკური მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	სწავლულ მდივანი
2	ხმალაძე ლია	ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკური მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი	პარტიული ორგანიზაციის მდივანი
3	შველიძე ნიკო	გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქტორი	რედაქტორი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსების 50-ე წლისთავის საიუბილეო ღონისძიებათა გეგმა

№	ჩასატარებელი ღონისძიებები	შესრულების ვადები	შემსრულებელი
1	ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებულის მომზადება და დასტამბვა	1979 წლის ნოემბერი	ინსტიტუტის დირექტორი გ. საყვარელიძე, დირექტორის მოადგილე რ. არონიშიძე, სექტორებისა და ლაბორატორიის გამგეები
2	პედაგოგიურ-მეთოდური ლიტერატურის კატალოგის შედგენა და დასტამბვა	1980 წლის თებერვალი	ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეები კ. მაჭარაშვილი, რ. არონიშიძე, სექტორებისა და ლაბორატორიის გამგეები
3	ინსტიტუტის საქმიანობის შესახებ ცნობების მომზადება და მოკავშირე რესპუბლიკების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისათვის დაგზავნა	1980 წლის მარტი	ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეები კ. მაჭარაშვილი და რ. არონიშიძე
4	საიუბილეო ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვის შედგენა და მასალებით უზრუნველყოფა	1980 წლის იანვარი თებერვალი	ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე რ. არონიშიძე
5	სახეიშო საღამოს პროგრამის, მოსაწვევი ბარათების, სამკერდე ნიშნებისა და სხვა დოკუმენტების ესკიზების მომზადება და გამრავლება	1980 წლის სექტემბერი	ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე რ. არონიშიძე
6	ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საიუბილეო დღისადმი მიძღვნილი გამოფენის მომზადება	1980 წლის სექტემბერი ოქტომბერი	დირექტორის მოადგილეები კ. მაჭარაშვილი, რ. არონიშიძე, პარტიბიუროს მდივანი ლ. ხმალაძე, ადგილობრივი თავმჯდომარე ლ. ჭეიშვილი, სექტორებისა და ლაბორატორიის გამგეები
7	I სტენდები: 1. ინსტიტუტის პროექტია, სამეცნიერო შრომები, სასწავლო და მეთოდ-		

1	2	3	4
	<p>დური სახელმძღვანელოებში, მონოგრაფიები, დიაგრამები, სქემები, სასწავლო დიდაქტიკური მასალები</p> <p>2. გამოჩენილი მეცნიერების ფოტოსურათები</p> <p>3. ინსტიტუტის დირექტორების ფოტოსურათები</p> <p>4. ი. გოგებაშვილის მედალოსნები</p> <p>5. დამსახურებული მასწავლებლები</p> <p>6. დიდი სამამულო ომის ვეტერანები</p> <p>7. სკოლებთან ინსტიტუტის ამსახველი კავშირურობის ფოტოსურათები</p> <p>8. ინსტიტუტის ორდენოსანი და უმაღლესი საბჭოს სიგელით დაჯილდოებული თანამშრომლები</p> <p>9. დეპუტატები</p> <p>10. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მუშაობის ამსახველი ფოტოსურათები</p> <p>II. აღზომები</p> <p>1. ყოფილი თანამშრომლების ფოტოსურათები</p> <p>2. თანამშრომელთა ფოტოსურათები</p>		
8	<p>3. ასპირანტთა სია ინსტიტუტის თანამშრომლებიდან დასაჯილდოებელი კანდიდატების შერჩევა და განათლების სამინისტროსათვის წარდგენა</p>	1980 წლის მარტი	ინსტიტუტის დირექტორი გ. საყვარელიძე, პარტიზუროს მდივანი ლ. ხმალაძე, ადგილკომის თავმჯდომარე ლ. ჭეიშვილი, სწავლული მდივანი თ. ნიკოლაიშვილი
9	<p>მარქსიზმ - ლენინიზმის კლასიკოსების, ცნობილი პედაგოგების გამონათქვამების შერჩევა და ლოზუნგების მოწაღება</p>	1980 წლის აგვისტო სექტემბერი	ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე კ. მაჭარაშვილი, სექტორისა და ლაბორატორიის გამგეები
10	<p>ინსტიტუტის მუშაობის გაშუქება რესპუბლიკურ ყურნალ-გაზეთებში</p>	1980 წლის ოქტომბერი ნოემბერი	ინსტიტუტის დირექტორი გ. საყვარელიძე, დირექტორის მოადგილე კ. მაჭარაშვილი, სექტორებისა და ლაბორატორიის გამგეები
11	<p>თბილისის ჭადრაკის სახსლეში საიუბილეო საღამოსა და გამოფენის მოწყობა</p>	1980 წლის ნოემბერი	დირექტორის მოადგილე რ. არონიშვიძე, პარტიზუროს მდივანი ლ. ხმალაძე, ადგილკომის თავმჯდომარე ლ. ჭეიშვილი

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ი ლ ე ბ ა

მომუშავე ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო დონის ამაღლების საქმეში ცხაკაიის რაიონის დასწრებულ-დაუსწრებელი საშუალო სკოლისა და წარმოება-დაწესებულებათა ერთობლივი მუშაობის გამოცდილების შესახებ

განიხილა რა საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოს ცნობა „მომუშავე ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო დონის ამაღლების საქმეში ცხაკაიის რაიონის დასწრებულ-დაუსწრებელი საშუალო სკოლისა და წარმოება-დაწესებულებათა ერთობლივი მუშაობის გამოცდილების შესახებ“ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მოწონებულ იქნას ცხაკაიის რაიონის დასწრებულ-დაუსწრებელი საშუალო სკოლისა და წარმოება-დაწესებულებათა ერთობლივი მუშაობა მომუშავე ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო დონის ამაღლების საქმეში.

2. აღინიშნოს, რომ ცხაკაიის რაიონში მომუშავე ახალგაზრდობას სწავლების საქმეში მოპოვებული წარმატებები შედეგია განათლების განყოფილების (გამგე ამხ. კ. შარტავა) და დასწრებულ-დაუსწრებელი საშუალო სკოლის (დირექტორი ამხ. ი. ხაბურზანია) ინიციატივის, რითაც ისინი აღწევენ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მხარდაჭერას, საწარმოების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიურად ჩაბმას ახალგაზრდობის სწავლისათვის საყოველთაო ზრუნვის ატმოსფეროს შექმნაში.

3. ცნობა „მომუშავე ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო დონის ამაღლების საქმეში ცხაკაიის რაიონის დასწრებულ-დაუსწრებელი საშუალო სკოლისა და წარმოება-დაწესებულებათა ერთობლივი მუშაობის გამოცდილების შესახებ“ დაეგზავნოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავ-

ტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განაალუბის განყოფილებებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს.

მათვე დავეალოთ, განიხილონ იგი კოლეგიების, სახალხო განათლების და მოზრდილთა სკოლების პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე: დასახონ და გაატარონ სათანადო ღონისძიებანი მომუშავე ახალგაზრდობის სწავლების სრულყოფისათვის.

4. კოლეგიის გადაწყვეტილება და ცნობა გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში“.

მინისტრი

მ. ჰინძლავაძე



მომუშავე ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო ღონის
ამაღლების საქმეში ცხაკაიის რაიონის დასწრებულ-
დაუსწრებელი საშუალო სკოლისა და წარმოება-
დაწესებულებათა ერთობლივი მუშაობის
გამოცდილების შესახებ

უკანასკნელი ხუთწლეულების განმავლობაში ცხაკაიის რაიონის განათლების განყოფილებამ, საღამოს საშუალო სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა, წარმოება-დაწესებულებებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობითა და დახმარებით სახალხო მეურნეობაში დასაქმებული ახალგაზრდობის სწავლების საქმე წარმართეს სახალხო განათლების დარგში სკკპ XXIV, XXV ყრილობების, პარტი-ასა და მთავრობის შემდგომი სადირექტივო დადგენილებების საფუძველზე.

საქართველოს კომპარტიის ცხაკაიის რაიონული კომიტეტი და რაისაბჭოს აღმასკომი სისტემატურად სწავლობენ და რაიკომის ბიუროს სხდომებზე, პლენუმებსა და რაისაბჭოს სესიებზე რეგულარულად იხილავენ მოზრდილთა ზოგადი განათლების საკითხებს; ზრუნავენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის აპრილის დადგენილების „რესპუბლიკის მუშა-ახალგაზრდობის საშუალო განათლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ შესრულებისათვის. ცხაკაიის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომი მხოლოდ სკოლაში ჩასაბმელ კონტინენტის გეგმის დამტკიცებით და წარმოება-დაწესებულებებისა და მეურნეობების ხელმძღვანელებზე სათანადო დავალების მიცემით კი არ კმაყოფილდება, არამედ პერიოდულად აკონტროლებს მათ, რათა დღენიდავ იზრუნონ ახალგაზრდების შრომისა და სწავლის შეთავსებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად.

ამის შედეგია, რომ რაიონის წარმოება-დაწესებულებების, სამეურნეო ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა გულისხმიერად ეკიდება მომუშავე ახალგაზრდობის ზოგადი განათლების გაუმჯობესების საქმეს.

საწარმოების სოციალური განვითარების გეგმებსა და კოლექტიურ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია მომუშავე ახალგაზრდობის სწავლების საკითხი; სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას ყურადღება ექცევა ახალგაზრდობის არამარტო შრომით მონაცემებს, არამედ სწავლებისადმი დამოკიდებულებას! შეუფერხებლად ხორციელდება შრომის კანონმდებლობით დაწესებული შეღავათები.

რაიონის სახალხო განათლების დარგის მუშაკებმა და წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებმა სწორად გაიგეს, რომ მხოლოდ ერთობლივი მუშაობით არის შესაძლებელი იმ ობიექტური მიზნების დაძლევა, რომლებიც ხელს უშლიან შრომისა და სწავლის წარმატებით შეთავსებას.

სასწავლო-ორგანიზაციული მუშაობის პარალელურად წარმოება-დაწესებულებებსა და მეურნეობებში მოწყობილია შრომისა და სწავლის მოწინავეთა სტენდები, ხდება მოსწავლე ახალგაზრდების მატერიალური და მორალური სტიმულირება, ფასიანი საჩუქრების გადაცემა, ტურისტული საგზურებით დაჯილდოება, თანრიგის მომატება და სხვ.

წარმოება-დაწესებულებებში შექმნილია სკოლის დამხმარე კომისიები, დანერგილია დამრიგებლობა; მოქმედებენ კომკავშირული შტაბები და პროექტორები.

ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია ცხაკაიის ქალაქვაჭრობის (დირექტორი ბ. ბარკალაია, ადგილკომის თავმჯდომარე დ. ტორჩინავა), „საქსოფტექნიკის“ ცხაკაიის გაერთიანება (მმართველი დ. დემურია), ხალიჩების კომბინატი (დირექტორი ა. ბალათურია, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ლ. ჯღარკავა), ცხაკაიის ჩაის ფაბრიკა (დირექტორი ვ. ცომაია), მეცხოველეობის სარაიონთაშორისო გაერთიანების საბჭო (თავმჯდომარე ო. კოხია); ძველი სენაკის მეცხოველეობის, კოტიანეთის მევენახეობის, ახალი სენაკის დაფნის, ზემო ჭალადიდის ეთერზეთოვანი კულტურების, ნაქალაქევის მეთუთეობის სანერგე საბჭოთა მეურნეობები (დირექტორები: ტ. წურწუშია; ვ. ჩიქოზავა, ბ. თოდუა, რ. კარტოზია); ფოცხოს სტალინის სახელობის, ზანის ყდანოვის სახელობის, ეკის გაზეთ — „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობები (თავმჯდომარეები: კ. თოდუა, ა. გვალია, გ. ელიავა).

უნდა აღინიშნოს, რომ ცხაკაიის რაიონში მომუშავე ახალგაზრ-
დობის სწავლების საქმეში მოპოვებული წარმატებები შედეგადაა და-
ნათლების განყოფილების (გამგე ამხ. კ. შარტავა) და დასწრებულ-
დაუსწრებელი საშუალო სკოლის (დირექტორი ამხ. ი. ხაბურხანია)
ინიციატივისა, რითაც ისინი აღწვევენ ადგილობრივი პარტიული და
საბჭოთა ორგანოების მხარდაჭერას, საწარმოებსა და საზოგადოებ-
რივი ორგანიზაციების აქტიურად ჩაბმას ახალგაზრდობის სწავლები-
სათვის საყოველთაო ზრუნვის ატმოსფეროს შექმნაში.

ბოლო დროს მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარ-
და და ტარდება მომუშავე ახალგაზრდობის სწავლების ფორმისა და
რეჟიმის სრულყოფისათვის. საღამოს სკოლების ბაზაზე 1976 წლი-
დან შეიქმნა რაიონული დასწრებულ-დაუსწრებელი საშუალო სკო-
ლა, სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებისა და ჯგუფების ფართო
ქსელით, რითაც მომუშავე ახალგაზრდობას საშუალება მიეცა სა-
შუალო განათლება მიიღოს თავის სამუშაო და საცხოვრებელ ად-
გილზე.

მეცხრე და მეათე ხუთწლედის განვლილ პერიოდში რაიონში
4000-ზე მეტი მომუშავე ახალგაზრდა სწავლობდა, მარტო მეათე
ხუთწლედის ოთხ წელიწადში საშუალო განათლება 520-მა ახალგა-
ზრდამ მიიღო. ყველა ისინი ჩაბმულია საზოგადოებრივ სასარგებლო
შრომში, ბევრი მათგანი კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრი
და მოწინავეა.

აღსანიშნავია, რომ ცხაკაიის რაიონის მოზრდილთა სკოლის
კურსდამთავრებულთაგან უმაღლესი და სპეციალური საშუალო გა-
ნათლება მიიღო 100-ზე მეტმა ახალგაზრდამ.

დღეისათვის რაიონის წარმოება-დაწესებულებათა და მეურნეო-
ბათა აბსოლუტურ უმრავლესობაში არ არის არც ერთი ისეთი ახალ-
გაზრდა, რომელსაც არ აქვს საშუალო განათლება ან არ სწავლობს.

ორი უკანასკნელი სასწავლო წლის მანწილზე სკოლებში მოსწავ-
ლეთა ჩაბმის მდგომარეობა ასეთ სურათს იძლევა:

№	საწარმოს, მეურნეობის დასახელება	1979-80 ს/წ სწავ- ლობდა მოსწავლე	დაამ- თავრა	1980-81 სასწ. წელს სწავლ- ბდა	ჩასამბელი
1	მეცხოველეობის ცხაკაის სარაიონთა- შორისო გაერთიანება	40	11	32	—
2	ძველი სენაკის მეღორეობის სანაშენე მეურნეობა	27	8	22	—
3	ახალი სენაკის დაფნის საბჭოთა მე- ურნეობა	41	10	33	—
4	ჭალადიდის ეთერზეთების საბჭოთა მე- ურნეობა	41	22	20	—
5	ნოქალაქევის მეთუთეობის საბჭოთა მეურნეობა	16	6	12	—
6	ფოცხის სტალინის სახ. კოლმეურნეობა	18	7	14	—
7	ზანის უდანოვის სახ. კოლმეურნეობა	18	8	12	—
8	ქალაქეპრობა	14	3	11	—
9	ხალიჩების კომბინატი	6	1	5	—

ანალოგიური სურათია სხვა ორგანიზაციებშიც.

მიმდინარე, 1980—1981, სასწავლო წლისათვის რაიონში მხოლოდ 17 ახალგაზრდა დარჩა სწავლაში ჩასამბელი. ამჟამად ყველამათვანი მიღებულია სკოლაში.

მომუშავე ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო დონის ამაღლების ღონისძიებათა განხორციელებაში გარკვეულ როლს ასრულებს დათვალიერება დევიზით „ყოველ ახალგაზრდა მშრომელს — საშუალო განათლება“. დათვალიერების რაიონული და წარმოებადაწესებულებებთან არსებული საორგანიზაციო კომიტეტები მონაწილეობენ არამტო სკოლის დაკომპლექტებაში, არამედ მოსწავლეთა მეცადინეობაზე დასწრების ორგანიზაციაში და კონტინენტის შენარჩუნების საქმეში, სწავლების ფორმებისა და მეცადინეობის რეჟიმის სრულყოფასა და სკოლის სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებაში. კომიტეტის სხდომებზე პერიოდულად ისმენენ საწარმოთა და მეურნეობათა პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ანგარიშებს ამ მხრივ გაწეული მუშაობის შესახებ; ატარებენ ერთთვიურებსა და სხვა.

1979 წელს ჩატარებულ დათვალიერებაში „ყოველ ახალგაზრდა მშრომელს — საშუალო განათლება“ საუკეთესო მაჩვენებლების

მიღწევისათვის ცხაკაის რაიონული დასწრებულ-დაუსწრებელი სასაშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი დაჯილდოებულია. საკავშირო განათლების სამინისტროს დიპლომით, ხოლო ცხაკაის მეცხოველეობის საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანების დირექტორი ამხ. თ. თ. კოხია — საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სიგელით.

ცხაკაიაში პასუხისმგებლობით ეკიდებიან მომუშავე ახალგაზრდობის სწავლების სრულყოფის თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და დარგობრივი სამინისტროების ერთობლივი ბრძანებების შესრულებას.

ასე მაგალითად, რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველო (უფროსი ტ. დგებუაძე) კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სისტამატურად აკონტროლებს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული საშუალო განათლების არამქონე ახალგაზრდობის სწავლებაში ჩაბმას, მათთვის შრომისა და სწავლის პირობების შექმნისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათებით სარგებლობის მიმდინარეობას. ანალოგიური მდგომარეობაა „საქსოფლტექნიკის“ ცხაკაის გაერთიანებაში, ქალაქვაჭრობაში და სხვაგან.

რაიონში განუხრელად სრულდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 4 დეკემბრის № 968 ბრძანება სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიებისა და თვალსაჩინოების შეუფერხებლად გამოყენების შესახებ.

რაიონული დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლა, სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებისა და ჯგუფების უმრავლესობა გადასულია სწავლების კაბინეტურ სისტემაზე, სხვები კი შეუფერხებლად სარგებლობენ მასობრივი სკოლების კაბინეტებით. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ მოზრდილთა სკოლაში მასწავლებლებად მუშაობენ დღის სკოლების შესაბამისი კაბინეტების გამგეები. სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების გამგეებად და სასწავლო-საკონსულტაციო ჯგუფების ხელმძღვანელებად მუშაობენ დღის სკოლების დირექტორები.

მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის საქმეში გადამწყვეტი როლი სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს ეკუთვნის, მასწავლებლებთან მუშაობა, მათი მეთოდური დახელოვნება გათვალისწინებულია სკოლის სამუშაო გეგმაში.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საინსტრუქციო-მეთოდური წერილის „სალამოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელთა მეთოდური მუშაობის შესახებ“ შესაბამისად ცნაკაის რაიონული დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლა წარმოადგენს მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობის ცენტრს, სადაც გაერთიანებულია სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებისა და ჯგუფების ყველა მასწავლებელი საგნების მიხედვით. ეწყობა ცალკეული მასწავლებლების გამოცდილების განზოგადება და ინერგება მომუშავე ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის მოწინავე მეთოდები.

კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები გაიარა ყველა (123-მა) მასწავლებელმა.


მასწავლებელთა დიდი ნაწილი პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, სისტემატურად იმაღლებს თეორიული და პედაგოგიური მომზადების დონეს, ეუფლება სწავლების მოწინავე მეთოდებს, მოსწავლეებს უღვივებს სწავლისადმი ინტერესს, მუშაობაში აღწევს სათანადო წარმატებებს.

კარგად მუშაობენ მოზრდილთ სკოლის დასწრებული კლასების, აგრეთვე ახალსოფლის, ნორიოს, ძველი სენაკის, ნაქალაქევის, ფოცხოს, ლეძაძამის, ზანის, ეკის, მენჯის, თეკლათის, ზემოჭალადიდის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებისა და ჯგუფების მასწავლებლები.

სკოლისა და საწარმოთა კოლექტივები მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის მთლიანობის უზრუნველყოფის მიზნით განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას, მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის ამაღლებას.

1979—1980 სასწავლო წლის ბოლოს 423 მოსწავლიდან ვერ ასწრებდა მხოლოდ ხუთი (აკადემიური მოსწრება 98%-ზე მეტი), რვა კლასი დაამთავრა ყველა მოსწავლემ, თერთმეტი კი — 98,8%-მა. მინიმუმამდე შემცირდა სკოლიდან არასაბატიო მიზეზით გასულ მოსწავლეთა რაოდენობა და ვაკვეთილების გაცდენის შემთხვევები.

მოსწავლეებთან პერიოდულად ტარდება საუბრები, ლექციები და მოხსენებები; სათანადო ყურადღება ექცევა მოსწავლეთა სამართლებრივ აღზრდას. უკვე რამდენიმე წელია, რაც მოსწავლეთა მიერ სამართალდარღვევას ადგილი არ ქონია. ყოველივე ამას ხელს



უწყობს ის, რომ „სანიმუშო დისციპლინისა და წესრიგის კლასი-
სახელის მოსაპოვებლად სკოლაში გაშლილია სოციალისტური შე-
ჯიბრება, გამარჯვებული კლასი ჯილდოვდება ვიმპელით.

სკოლაში სახეიმო ვითარებაში აღნიშნავენ სასწავლო წლის და-
წყებასა და დამთავრებას, ატარებენ პედაგოგიური საბჭოს გამსვლელ
სხდომებს, სემესტრების შედეგებს აცნობენ მოსწავლეებსა და მათ
კოლექტივებს მუშაობის ადგილზე, აქვე ხდება კურსდამთავრებუ-
ლებზე ატესტატების გადაცემა და სხვა.

დებულების შესაბამისად სათანადო მუშაობას ეწევა სტაროსტა-
ტი, რომელიც შექმნილია დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლის ცენ-
ტრალურ პუნქტებში, ხოლო სხვა სასწავლო-საკონსულტაციო პუნქ-
ტებსა და ჯგუფებში ის არ არის შექმნილი მოსწავლეთა სიმცირის
გამო.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ცხაკაიის რაიონის დასწრებულ-და-
უსწრებელი საშუალო სკოლისა და წარმოება-დაწესებულებათა ერ-
თობლივი მუშაობის გამოცდილება განზოგადებულ იქნას რესპუბ-
ლიკის სალამოსა და დაუსწრებელ სკოლებში.

**სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების
სამმართველო**

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 1980—1981 სასწავლო წლის დაწყების შედეგების შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ 1980—1981 სასწავლო წელი რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ორგანიზებულად დაიწყო. პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელშეწყობით სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა სათანადო მოსამზადებელი მუშაობა გასწიეს საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის გატარების, სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცების, სასწავლო კაბინეტებისა და სახელოსნოების უკეთ მოწყობის, სპეციალისტებით სკოლების უზრუნველყოფის, მასწავლებელთა და მოსწავლეთა კოლექტივებში ჯანსაღი ატმოსფეროს დამკვიდრების მიზნით, რაც სახალხო განათლების დარგში მე-10 ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულების გარანტიას იძლევა.

მიმდინარე სასწავლო წელს სკოლებმა დროულად მიიღეს სასწავლო პროგრამები და გეგმები, სასკოლო დოკუმენტაცია, სახელმძღვანელოები და სხვა სახის ლიტერატურა. ჩატარდა ორგანიზაციული მუშაობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სემესტრულ სწავლებაზე გადასასვლელად. მასწავლებელთა აგვისტოს კონფერენციებსა და სექციებზე სკოლის ხელმძღვანელებსა და მასწავლებლებს განემარტათ სემესტრული სწავლების თავისებურება.

ამასთან, ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში შეინიშნებოდა გარკვეული ნაკლოვანებები, რომელთა დროულად აღმოფხვრის მიზნით

კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

1.1. კოლევებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე განიხილონ 1980—1981 სასწავლო წლის დაწყების შედეგები, ყოველმხრივ გააანალიზონ რესპუბლიკაში, ოლქში, ქალაქში რაიონსა და ცალკეულ სკოლებში გაწეული მუშაობა და დასახონ ქმედითი ღონისძიებები არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

1.2. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ივნისის პლენუმის მოწოდებისა და მითითებების შესაბამისად დასახონ და გაატარონ ღონისძიებები, რათა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა და მოსწავლეთა კოლექტივები ღირსეულად და ახალი წარმატებებით შეხვდნენ სკკპ XXVI ყრილობას, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობასა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავს.

1.3. დარაზმონ სკოლების პედაგოგიური კოლექტივები მოსკოვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური კოლექტივების ინიციატივის მხარდასაჭერად; უზრუნველყონ კავშირის განმტკიცება სკოლებს, მის საბაზო ორგანიზაციებსა და პროფტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლებს შორის სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და მოსწავლეებთან სწორი პროფორიენტაციული მუშაობის ფართოდ გაშლისათვის.

1.4. შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებები ახალგაზრდობის საყოველთაო სავალდებულო სწავლების სრულად განხორციელების, გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში, სასკოლო ინტერნატებში ბავშვთა სწავლის, დასვენებისა და კვების უკეთ ორგანიზების, სასწავლო-დაწესებულებებში სანიმუშო სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის დაცვის მიზნით.

1.5. გამოავლინონ და დროულად აღმოფხვრან ნაკლოვანებები, რომლებიც ჯერ კიდევ შეინიშნება გაღრმავებულ შრომით სწავლებაში, ყურადღებით მოეკიდონ საწარმოებში, მშენებლობებზე, მინდვრებსა და პლანტაციებში ბავშვთა შრომის ორგანიზაციას და უსაფრთხოების წესების დაცვას.

2. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამხ. ბ. აფხაზავა) მიიღოს ზომები იმ ობიექტების მოკლე ხანში დამთავრების უზრუნ-

ველსაყოფად, რომლებიც დღემდე არ არის საექსპლოატაციოდ გა-
დაცემული.

3. მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე)
უზრუნველყოს 1980 წლის ფონდიდან დარჩენილი სასწავლო ავტო-
მანქანებისა და ტრაქტორების სკოლებზე დროული გაცემა სკოლე-
ბის სამმართველოს განაწილების მიხედვით.

4. კადრების სამმართველომ (ამხ. ა. ვაჩნაძე) დაუყოვნებლივ
მოაგვაროს მასწავლებლების დანიშვნა იმ სკოლებში, სადაც განა-
წილებული არ იქნენ პედაგოგიური ინსტიტუტების კურსდამთავრე-
ბულები. დაახუსტოს ახალგაზრდა სპეციალისტების ადგილზე გა-
მოცხადების მდგომარეობა და გაატაროს საჭირო ღონისძიებები.

5. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაეკისროს
სკოლების სამმართველოს (ამხ. კ. სუჯაშვილი).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი

მ. ჭინჭაბე



რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 1980—1981

სასწავლო წლის დაწყების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა სათანადო მოსამზადებელი მუშაობა გასწიეს სკოლების ქსელის რაციონალურად განლაგების, სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების, სწავლების ტექნიკური საშუალებებით და თვალსაჩინოებით მათი აღჭურვის, სასკოლო დოკუმენტაციით, სახელმძღვანელოებით, მეთოდური ლიტერატურით, პროგრამებითა და სასწავლო გეგმებით უზრუნველყოფის, მასწავლებელთა და აღმზრდელთა კადრებით სკოლების დაკომპლექტებისა და სხვ. მიზნით.

სახალხო განათლების ორგანოებს და სკოლებს დროულად დაეგზავნა მასწავლებელთა აგვისტოს კონფერენციების ჩატარების რეკომენდაციები და სექციური სხდომების სანიმუშო თემატიკა, გამოიცა და სკოლებს დაეგზავნა პროგრამები რიგ საგნებში.

ზაფხულის პერიოდში რესპუბლიკის რამდენიმე ქალაქსა და რაიონში შემოწმდა ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მდგომარეობა და სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობა. საკითხი განიხილა განათლების სამინისტროს კოლეგიამ და მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

ახალი სასწავლო წლისათვის უკეთ მოემზადნენ ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, აგრეთვე მახარაძის, ზესტაფონის, ზუგდიდის, ამბროლაურის, ხობის, კასპის, გორის, გურჯაანის, თელავისა და სხვა რაიონების სახალხო განათლების ორგანოები და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები.

ორგანიზებულად ჩატარდა მასწავლებელთა აგვისტოს კონფერენციები და სექციების მუშაობა. კონფერენციებზე პარტიის რაიონული (საქალაქო) კომიტეტების პირველი მდივნების გამოსვლამ მოხსენებით კიდევ მეტად გაზარდა კონფერენციების ავტორიტეტი და უფრო საქმიანი გახდა მათი მუშაობა. მთავარი ყურადღება კონფერენციებსა და სექციებზე დაეთმო მოსწავლე ახალგაზრდობის

სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას.

წელს 1-ლ სექტემბერს რესპუბლიკის ყველა სკოლაში მოვითარებაში გაიღო კარი მოსწავლეებისათვის.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში სკოლებს დიდი დახმარება გაუწიეს შეფმა ორგანიზაციებმა — სამრეწველო საწარმოებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა ადგილობრივმა საბჭოებმა.

ზუგდიდის რაიონში მარტო ორი საშუალო სკოლისა და ერთი რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის კაპიტალური რემონტისა და რბილი და მაგარი ინვენტარის შესაძენად კოლმეურნეობების სახსრებიდან გამოიყო 250 ათასი მანეთი. სოფელ ორსანტის საბჭოთა მეურნეობა ჭარბი შემოსავლის ხარჯზე აშენებს საბავშვო ბაღის შენობას. ორჯონიკიძის სახელობის ჩაის ფაბრიკამ სკოლის რემონტისათვის გაიღო 8 ათასი მანეთი, ხოლო ინტერნატის ინვენტარის შესაძენად 10 ათასი მან. რუხის კოლმეურნეობა „საქართველომ“ 15 ათასი მანეთი გამოიყო საბავშვო ბაღის კაპიტალური რემონტისათვის. კახათის კოლმეურნეობამ კახათის გახანგრძლივებული საშუალო სკოლის მოსწავლეებისათვის ორჯერადი უფასო კვება დააწესა. ააშენა ქვემო და ზემო კახათის საბავშვო ბაღები, სადაც ბავშვები უფასოდ იკვებებიან. წელს დაიწყო ქვემო კახათის საშუალო სკოლის მშენებლობა.

სულ ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, სასოფლო საბჭოებმა და სხვა საშეფო საწარმოო-დაწესებულებებმა 1980—1981 სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდში სკოლებსა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს მშენებლობის, კაპიტალური და მიმდინარე რემონტების, ეზო-კარმიდამოს კეთილმოწყობის, მაგარი და რბილი ინვენტარის და სასწავლო მოწყობილობების შეძენისათვის და უფასო კვების ორგანიზაციის დონისძიებებზე დახარჯეს 200 ათას მანეთამდე. რაიონში კარგად არის ორგანიზებული სასკოლო სასადილოებისა და ბუფეტების ქსელიც. მოქმედებაშია 24 სასადილო — 2912 დასაჯდომი ადგილით. ცხელი კერძებით იკვებება 5600 ბავშვი.



გეგმვით რაიონის კურსუს კოლმეურნეობამ საინიციატივო წესით ააშენა სამსართულიანი საშუალო სკოლის ტიპური შენობა 460 მოსწავლე-ადგილით, წითელდროშოვანი ა/კ სამხედრო ოლქის სახსრებით აშენდა წულუკიძის რაიონის რუსული საშუალო სკოლის შენობა. მცხეთის ხეხილ-სანერგე მეურნეობამ ააშენა ძველი ქანდის საშუალო სკოლის შენობა 440 მოსწავლისათვის.

ანალოგიურად აქტიური დახმარება გაუწიეს სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებს ლაგოდეხის, გეგეჭკორის, ამბროლაურის, სამტრედიის, მცხეთის, გურჯაანის, წალენჯიხის, ზესტაფონის, წულუკიძის, ლანჩხუთისა და ხელვაჩაურის რაიონების შეფმა ორგანიზაციებმა.

საგრძობლად განმტკიცდა სკოლების მატერიალური ბაზა. განათლების სამინისტროს დაფინანსებით ახალი სასწავლო წლისათვის საექსპლოატაციოდ გადაეცა 63 ახალი სასკოლო შენობა 24.897 მოსწავლე-ადგილით, 3 სასკოლო ინტერნატი 1702 კვ. მ. ფართობით და 9 საცხოვრებელი სახლი სოფლად მომუშავე მასწავლებელთათვის 1150 კვ. მ. ფართობით ზნაურის, ყვარლის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, ხობის, წითელწყაროს, ადიგენის, სამტრედიისა და წყალტუბოს რაიონებში.

ახალი სასწავლო წლისათვის სკოლებმა ცენტრალიზებული მომარაგების წესით მიიღეს 6295 მერხი, 17395 მოსწავლის მაგიდა, 1450 სასკოლო დაფა, 1200 ხელსაწყოების კარადა, დიდი რაოდენობის სწავლების ტექნიკური საშუალებები და თვალსაჩინოება.

გაიზარდა სასკოლო სასადილოებისა და ბუფეტების ქსელი. დამატებით მოეწყო 68 სასკოლო სასადილო 11614 დასაჯდომი ადგილით და 85 ბუფეტი.

დაიბეჭდა და დაიგზავნა რესპუბლიკაში გამოცემული 117 დასახელების სახელმძღვანელო, 4.031 ათასი ტირაჟით, ამჟამად მოსწავლეები უზრუნველყოფილია ახალი და სტაბილური ნახმარი სახელმძღვანელოებით.

სერიოზული ღონისძიებანი გატარდა ახალი სასწავლო წლიდან გაღრმავებულ შრომით სწავლებაზე IX—X კლასების მოსწავლეთა ორგანიზებულად გადაყვანისა და მათთვის სწავლებისა და შრომის სათანადო პირობების შესაქმნელად. რესპუბლიკის ყველა დღის ზო-

გადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლისათვის, ადგილობრივი პირობებისა და პედაგოგთა კადრების შესაბამისად, შერჩეული იქნა შრომითი სწავლების პროფილები და შესატყვისი საბაზო საწარმოები.

1980—1981 სასწავლო წლიდან საკუთარ ბაზაზე ავტოსაქმის სწავლება შემოიღებულა რესპუბლიკის 300 სკოლაში, ტრაქტორებისა და სხვა სამეურნეო მანქანებს შეასწავლიან 870 სკოლაში, მანქანაზე წერასა და საქმისწარმოებას — 10 სკოლაში, ელექტროტექნიკა, ტექნიკური თარგმანი და ქიმიის გაღრმავებული სწავლება შემოღებულია 20 სკოლაში. მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფორიენტაციისათვის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატებში გაერთიანებულია 191 სკოლა, ხოლო სამრეწველო და მომსახურებითი სფეროს საწარმოებსა და ორგანიზაციებთან მოწყობილ საამქროებზე მიმაგრებულია 226 სკოლა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებზე 67 სკოლა. გაღრმავებული შრომითი სწავლებისათვის სკოლებმა უკვე მიიღეს 55 ტრაქტორი და 14 ავტომანქანა. მიმდინარე სასწავლო წელს დამატებით მიიღებენ 70 ავტომანქანასა და 80 ტრაქტორს. აგრეთვე ავტომობილისა და ტრაქტორის სასწავლო კაბინეტებს.

გარკვეული მუშაობა ჩატარდა განათლების ადგილობრივი ორგანოების მოთხოვნათა საფუძველზე პედაგოგიური კადრებით სკოლების შევსებისათვის. 1-ლი სექტემბრისათვის უკვე განაწილებული იყო 1322 ახალგაზრდა სპეციალისტი — მათ შორის 965 მასწავლებელი მშობლიურ სოფელში გაიგზავნა სამუშაოდ, რაც საიმედო დასაყრდენია მათი სამუშაოზე დამაგრებისათვის.

ამასთან ერთად, ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების მომზადების საქმეში აღინიშნა ნაკლოვანებებიც: 1-ლი სექტემბრისათვის არ იქნა ჩაბარებული გეგმით გათვალისწინებული 14 სასკოლო შენობა 5558 მოსწავლის ადგილით ორჯონიკიძის, თერჯოლის, ასპინძის, აბაშის, ცაგერის, მესტიის, წალენჯიხის, ცხაკაიის, ხულოს, ქობულეთის, შუახევის რაიონებში. არის სკოლები, რომელთა მშენებლობა წლების მანძილზე გრძელდება და კვლავ დაუმთავრებელია. ზესტაფონის რაიონის სოფელ რკვიის რვაწლიანი სკოლის მშენებლობა დაიწყო მიმდინარე წლის იანვარში, მაგრამ შეჩერდა იმის გა-

მრ, რომ 200 ათასი მახ. სახარჯთაღრიცხვო ღირებულებიდან განა-
ლების სამინისტროს გამოყოფილი აქვს მხოლოდ 30 ათასი, ^{განაწილებული}
რაც უკვე ათვისებულია, მოსწავლეები კი შეხიზნული არიან რკი-
ნიგზის სალიანდაგო დისტანციის სკოლისათვის ყოვლად შეუფერე-
ბელ შენობაში. ყაზბეგის რაიონის სოფელ გორისციხის რვაწლიანი
სკოლის მშენებლობა დაწყებულია 1971 წელს და დღემდე არ დამ-
თავრებულა.

ზესტაფონის რაიონის სოფელ არგვეთის საშუალო სკოლაში,
რომელიც გასულ წელს გადაეცა საექსპლოატაციოდ, უხარისხო მშე-
ნებლობის გამო შენობის პირველ სართულში წყალი დგას და სა-
ფრთხე ექმნება სასკოლო შენობას.

ჯერ კიდევ სუსტია სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა,
რის გამოც დიდ ნაწილში სწავლება ორიდან სამცვლიანია. ქ. რუს-
თავის 1-ლ საშუალო სკოლაში (შეგუებული ტიპის შენობა) სწავ-
ლება ოთხცვლიანია. აქ მეცადინეობს მე-4 ქართული საშუალო და
მე-8 რუსული რვაწლიანი სკოლების 2855 მოსწავლე.

ზოგი რაიონის სკოლები ჯერ კიდევ განიცდიან კადრების ნაკ-
ლებობას. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით აკლიათ რუსული
ენის, ფიზიკური კულტურის, შრომითი სწავლების, უცხო ენების
და სხვა სპეციალისტები.

წითელწყაროს რაიონიდან მოთხოვნა იყო რუსული ენის 10
მასწავლებელზე, მაგრამ 1-ლი სექტემბრისათვის არც ერთი არ იყო
დანიშნული; ანალოგიური მდგომარეობაა ზესტაფონის, გეგეჭკო-
რის, წალენჯიხის, ორჯონიკიძისა და ზოგ სხვა რაიონებში.

შეფერხებაა სასწავლო ავტომანქანებითა და ტრაქტორებით
სკოლების მომარაგების საქმეში. ტექნიკის გადაცემის გრაფიკის ჩა-
მორჩენის გამო ზოგ სკოლაში 1-2 წლით იგვიანებს ტრაქტორის გა-
დაცემა. ამასთან, 1969 წელს გადაცემული სასწავლო ავტომობილე-
ბი მწყობრიდანაა გამოსული, მათი შეცვლა ახლით კი ნელი ტემ-
პით ხდება.

სკოლების სამმართველო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 696

საბჭოთა კავშირის ვმირის, გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძის სახელობის რესპუბლიკური სპეციალიზებული საშუალო სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა კონტინგენტით დაკომპლექტების
შ ე ს ა ხ ე ბ

აღნიშნავ, რომ რესპუბლიკის სახალხო განათლების განყოფილებებმა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა 1980 წელს სათანადო მუშაობა ჩატარეს კ. ნ. ლესელიძის სახელობის რესპუბლიკური სპეცსკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა კონტინგენტით დაკომპლექტების შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1979 წლის 17 მარტის № 214 ბრძანების შესასრულებლად, რის შედეგადაც სკოლა-ინტერნატში 150 მოსწავლე ჩაირიცხა.

განსაკუთრებით კარგად იმუშავეს და გარკვეულ წარმატებებს მიღწიეს სამხედრო პროფესიებით მოსწავლე ახალგაზრდობის და ინტერესების საქმეში ქ. ქ. თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, გორის, ტყიბულის, ზუგდიდის, ახალციხის, ბორჯომის, ვანის, დუშეთის, ზესტაფონის, მახარაძის, მაიაკოვსკის, თელავის, თერჯოლის, თეთრიწყაროს რაიონების სკოლების პედაგოგიურმა კოლექტივებმა.

აღნიშნული ქალაქებისა და რაიონების სკოლებიდან 86 მოსწავლე იქნა მიღებული სპეცსკოლა-ინტერნატის IX კლასებში.

რიგი ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა განათლების სამინისტროს ბრძანებით გათვალისწინებული მოთხოვნები არ შეასრულეს, რის გამოც რესპუბლიკის 17 ქალაქისა და რაიონის სკოლებიდან 1980 წელს არც ერთი მოსწავლე არ ჩაირიცხულა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

— ფართოდ გაშალონ პროფორიენტაციული მუშაობა მე-8

კლასების მოსწავლე ვაჟებთან კ. ნ. ლესელიძის სახელობის სპეც-სკოლა-ინტერნატისათვის ღირსეული კანდიდატების შერჩევის მიზნით, რისთვისაც უზრუნველყონ ამ საქმეში სკოლების პედაგოგიური კოლექტივების აქტიური მონაწილეობა;

— 1981 წლის 15 იანვრამდე ჩაატარონ რვაწლიანი, საშუალო სკოლების და სკოლა-ინტერნატების დირექტორების სპეციალური თათბირი, ალკვ საქალაქო (რაიონული) კომიტეტების, ადგილობრივი სამხედრო კომისარიატებისა და მშობელთა კომიტეტების წარმომადგენელთა მონაწილეობით, სადაც გულდასმით განიხილონ აღნიშნული ბრძანება და კ. ნ. ლესელიძის სახელობის სპეცსკოლა-ინტერნატში 1981 წელს მოსწავლეთა მიღების პირობები;

— გაატარონ ქმედითი ღონისძიებები მე-8 კლასების მოსწავლე ვაჟებთან ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების დონის ასამაღლებლად და რუსული ენის სწავლების მკვეთრად გასაუმჯობესებლად;

— შერჩეული კონტინგენტის მოსწავლეებთან გეგმაზომიერად ჩაატარონ სასკოლო, რაიონული და საქალაქო შეჯიბრებები მშობელების მრავალჭიდიში და სპორტის ტექნიკურ სახეობებში;

— დააწესონ მუდმივი კონტროლი სკოლების მუშაობაზე ზემოაღნიშნული ბრძანების მოთხოვნათა შესასრულებლად;

— ადგილობრივ პრესაში 1981 წლის 25 მარტამდე გამოაქვეყნონ კ. ნ. ლესელიძის სახელობის სპეცსკოლა-ინტერნატში მიღების პირობები;

— 1981 წლის 15 აპრილამდე და 15 ივნისამდე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აცნობონ ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ თანდართული ფორმით.

2. რვაწლიანი, საშუალო სკოლების და სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა:

— ყოველმხრივ მოამზადონ მე-8 კლასების მოსწავლე ვაჟები კ. ნ. ლესელიძის სახელობის სპეცსკოლა-ინტერნატში შესასვლელად, ფიზიკურად გამოაწრთონ ისინი, ჩაუნერგონ ინტერესი და სიყვარული საბჭოთა ოფიცრის გმირული პროფესიისადმი;

— 1981 წლის 25 იანვრამდე და 15 აპრილამდე პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე მოისმინონ საკითხი კ. ნ. ლესელიძის სახე-

ლობის სპეცკოლა-ინტერნატისათვის ღირსეული კანდიდატების შერჩევის შესახებ და შერჩეულ კანდიდატებთან სისტემატურად ჩაატარონ დამატებითი მეცადინეობა-კონსულტაციები რუსულ ენაში, მათემატიკასა და ფიზიკაში.

3. აღინიშნოს, რომ სახალხო განათლების განყოფილებებმა: გ. ცხადიაშვილი (ქ. ჭიათურა), ზ. როგავა (ქ. რუსთავი), ა. ჩხეიძე (გორის რაიონი), ი. ჩქარეული (ყაზბეგი), ი. ჩანჭსელიანი (ლენტეხი), ა. ჩხვიმიანი (მესტია), შ. ლონლაძე (ორჯონიკიძე), კ. ძნელაძე (სამტრედია), კ. ნადირაძე (საჩხერე), რ. ბეჟაშვილი (სიღნაღი), ვ. ობგაიძე (თიანეთი), შ. ხარებავა (ხობი), ვ. ბელქანია (წალენჯიხა), მ. ბილიაშვილი (წითელი წყარო), ო. ადამია (წულუყიძე), დ. კობალიანი (ცაგერი), მ. კეკელიძე (ჩოხატაური) სათანადოდ არ იმუშავენ სკოლებში სამხედრო-პატრიოტული აღზრდის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და კ. ნ. ლესელიძის სახელობის სპეცკოლა-ინტერნატისათვის ღირსეულ კანდიდატთა შესარჩევად.

4. სპეცკოლა-ინტერნატის დირექტორმა (ამხ. გ. გოგოლიძე) გაატაროს ქმედითი ღონისძიებანი რესპუბლიკის რვაწლიან და საშუალო სკოლებში ღირსეული კანდიდატების შესარჩევად.

5. დაწყებითი სამხედრო მომზადების განყოფილებამ (ამხ. ალ. ორახელაშვილი) მუდმივი კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე და შედეგები პერიოდულად მომახსენოს.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1980 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება.

მინისტრი

მ. ჭინქლაძე

დადგენილება

ნორჩ მხაზველთა მე-18 რესპუბლიკური კონკურსის შედეგებისა და მე-19 რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის ბიურო და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეჯია აღნიშნავენ, რომ ყოველწლიურად ჩატარებულმა ნორჩ მხაზველთა კონკურსმა საგრძნობლად შეუწყო ხელი ხაზვაში მოსწავლეთა დაინტერესებისა და საინჟინრო გრაფიკაში ტალანტების გამოვლენის საქმეს. ამას ნათლად მოწმობს ნორჩ მხაზველთა მე-18 რესპუბლიკური კონკურსის, რომელშიც მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის 67 რაიონმა.

კმაყოფილებით უნდა გავსვას ხაზი იმ სასარგებლო ტენდენციას, რაც წლიდან წლამდე კონკურსის გეოგრაფიის გაფართოებასა და მასში მონაწილეთა რიცხვის ზრდაში გამოიხატება. წელს ნორჩ მხაზველთა მე-18 კონკურსში აქტიურად ჩაება რესპუბლიკის 245 სამუშაო სკოლის 3904 მოსწავლე. კონკურსზე წარმოდგენილი 9000 ნახაზისა და 610 მოდელის შესრულების მაღალი დონე აშკარად მეტყველებს ადგილებზე ხაზვის მასწავლებელთა პასუხისმგებლობის ზრდაზე და მოსწავლეთა მიმართ წაყენებულ მოთხოვნათა ამაღლებაზე. ხაზვამ დამსახურებულად დაიმკვიდრა საპატიო ადგილი სხვა სასწავლო დისციპლინების გვერდით და ბევრად შეუწყო ხელი მოსწავლეთა შემოქმედებითი ტექნიკური აზროვნების განვითარებას.

საყოველთაო მოწონება დაიმსახურა, აგრეთვე, თბილისელ და ქუთაისელ ნორჩ არქიტექტორთა მე-2 რესპუბლიკურ კონკურსში გამარჯვებულ მოსწავლეთა ნამუშევრებმა.

ნორჩ მხაზველთა მე-18 რესპუბლიკურ კონკურსს წინ უძღოდნა დიდი მოსამზადებელი სამუშაო: სისტემატურად ტარდებოდა ზონალური თათბირ-სემინარები და 1-ლი და მე-2 ტურის ნამუშევართა განხილვა.

ხაზვის მასწავლებლებს დიდი დახმარება გაუწია საქართველოს
ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მხაზველთა
ბითი გეომეტრიის კათედრის მიერ ჩატარებულმა სემინარმა, რაშიც
უდიდესი დამსახურება მიუძღვის პროფ. ანზორ შავგულიძეს.

შინაარსობრივად და კომპოზიციურად მდიდარი გამოფენა მოე-
წყო ქ. ჭიათურაში, სადაც გამოფენის პარალელურად მასწავლებლე-
ბისათვის ჩატარდა სასარგებლო შეკრება-სემინარი.

შეკრების მონაწილეთა ბინით, კვებით და კულტმომსახურებით
უზრუნველყოფის საქმეში დიდი მუშაობა გასწიეს:

ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბ-
ლიკურმა სასახლემ (დირექტორი თ. ჟღენტი) და ჭიათურის პიონერ-
თა და მოსწავლეთა სასახლემ (დირექტორი მ. ჩახუნაშვილი), პიონერ-
თა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მეცნიერებისა და ტექ-
ნიკის განყოფილებამ (გამგე ვ. კალაძე), მეცნიერების სექტორმა
(გამგე ნ. ჯონაძე), საქართველოს კომპარტიის ჭიათურის რაიონულ-
მა კომიტეტმა, საქართველოს ალკვ ჭიათურის საქალაქო კომიტეტმა,
ჭიათურის განათლების განყოფილებამ (გამგე გ. ცხადიაშვილი),
ჭიათურის კულტურის სახლმა (დირექტორი გ. წულუკიძე),
ტექნიკური სასწავლებლის კოლექტივმა (დირექტორი ნ. სამხარაძე),
ჭიათურის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მეცნიერების განყო-
ფილებამ (გამგე ე. შედანიას).

კონკურსის ჩატარებაში მიღწეული წარმატებების გვერდით უნდა
აღინიშნოს მის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებიც. კონკურსში
მონაწილეობა არ მიუღიათ: დუშეთის, ყაზბეგის, ლანჩხუთის, ქედის,
ხულოს, მესტიისა და ცაგერის რაიონებს. კონკურსში მონაწილე რაი-
ონების მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა ვერ ამჟღავნებს სტანდარ-
ტების ცოდნას, რის გამოც გამარჯვებულთა რაოდენობა, ძირითადად,
თბილისის სკოლებზე მოდის.

საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის ბიურო და საქარ-
თველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია ადგენენ:

1. ნორჩ მხაზველთა მე-18 რესპუბლიკურ კონკურსზე საუკეთე-
სოდ შესრულებული საგამოფენო ნახაზების, მოდელების წარმოდგე-
ნისა და საკონკურსო ამოცანების მაღალხარისხოვნად ამოხსნისათვის
დაჯილდოვდეს:

ა) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს



I ხარისხის დიპლომით — 74 მოსწავლე

II ხარისხის დიპლომით — 267 მოსწავლე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სიგელით — 291

მოსწავლე

ბ) ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ალკ კომიტეტის საპატიო სიგელით — 26 მოსწავლე.

გ) ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის სიგელით — 296 მოსწავლე (მეშვიდე კლასელები)

დ) გ. ნიკოლაძის სახელობის პრიზით 2 მოსწავლე (დანართი № 1).

2. საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით — 27 სკოლა, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე, პიონერთა და მოსწავლეთა სახლი და ხაზვის მასწავლებელი.

3. ნორჩ მხაზველთა რესპუბლიკური კონკურსში წლების განმავლობაში აქტიური მონაწილეობისა და მოსწავლეთა მიერ მოპოვებული წარმატებებისათვის დაჯილდოვდეს „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით 6 ხაზვის მასწავლებელი, ხოლო საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სიგელით — 28 ხაზვის მასწავლებელი (დანართი № 2).

4. 1980 წლის სექტემბრიდან 1981 წლის მაისამდე ჩატარდეს ნორჩ მხაზველთა მე-19 რესპუბლიკური კონკურსი, მიძღვნილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავისადმი.

კონკურსი ჩატარდეს 3 ტურად მე-8—9—10 კლასებისათვის.

5. I დასწრებული ტური ჩატარდეს 1980 წლის 21 დეკემბერს. ადგილობრივი ხელშემწყობი კომისიების მიერ.

6. II დასწრებული ტური ჩატარდეს 1981 წლის 15 მარტს ზონალური საორგანიზაციო კომიტეტის მიერ.

7. III დასწრებული ტური ჩატარდეს 1981 წლის 19 აპრილს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის მიერ.

8. მე-7 კლასელთა ტური ჩატარდეს 1981 წლის 15 მარტს ზონალური საორგანიზაციო კომიტეტის მიერ.

9. 1981 წლის 16-17 მაისს თბილისში ჩატარდეს ნორჩ მხაზველთა კონკურსში გამარჯვებულთა შეკრება-გამოფენა.

კონკურსის მომზადებისა და ორგანიზებულად ჩატარების უზრუნ-

ველსაყოფად დამტკიცდეს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, კონკურსის ყიური, საკონკურსო ამოცანების შემდგენელი კომისია და სარედაქციო საბჭოს შემადგენლობა (დანართი № 3).

10. დამტკიცდეს ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ხაზვის კაბინეტის მიერ წარმოდგენილი მე-18 რესპუბლიკური კონკურსის შედეგები და მე-19 რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების ხარჯთაღრიცხვა.

11. დამტკიცდეს ნორჩ მხაზველთა რესპუბლიკური კონკურსის ახალი დებულება.

12. ეთხოვოს ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს და ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტებს:

ა) პრაქტიკული დახმარება გაუწიონ ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეს და ქუთაისის განათლების განყოფილებას ნორჩ მხაზველთა რესპუბლიკური კონკურსის მომზადება-ჩატარებაში.

3. Вторую Республиканскую олимпиаду по русскому языку учащихся национальных школ провести в четыре тура: школьный, районный (городской), зональный и республиканский. Определить следующие сроки их проведения:

школьный — в декабре 1980 г.

районный (городской) — в январе 1981 г.

зональный — 15 марта 1981 г.

республиканский — 12 апреля 1981 г.

4. Для руководства II Республиканской олимпиадой утвердить организационный комитет в следующем составе:

1. Мачарашвили К. Ш. — профессор, доктор педагогических наук, заместитель директора НИИ ПН им. Я. Гогешашвили (председатель)

2. Гиоргобиани Н. С. — инспектор Минпроса ГССР (заместитель)

3. Гелашвили Н. В. — старший научный сотрудник НИИ ПН им. Я. Гогешашвили, заведующая сектором методик преподавания русского языка и литературы, кандидат филологических наук

4. Микаэлян Г. Г. — доцент кафедры методики русского языка ЦИУУ, кандидат педагогических наук

5. Немсадзе А. А. — старший научный сотрудник НИИ ПН им. Я. Гогешашвили, кандидат педагогических наук

6. Эдишерашвили В. Ш. — старший преподаватель кафедры методики русского языка ЦИУУ

7. Пурцхванидзе И. К. — методист Республиканского методцентра Минпроса ГССР

8. Хоштария Г. Е. — заведующая учебно-методическим кабинетом русского языка и литературы ЦИУУ

9. Гелеквa Н. Э. — заведующая учебно-методическим кабинетом русского языка и литературы Тбилисского городского ИУУ

10. Шелеметьева В. А. — инспектор Управления школ Минпроса ГССР

11. Бачиашвили Л. Д. — методист русского языка и литературы Республиканского методцентра Минпроса ГССР (секретарь)

12. Бежанова И. А. — учительница русского языка и литературы Тбилисской 55-ой средней школы.

5. Поручить Республиканскому организационному комитету обеспечить руководство подготовкой и проведением олимпиады, периодически проверять вопрос подготовки к ней, провести подготовительную работу, своевременно разослать на места данный приказ и «Положение» об олимпиаде.

6. Министрам просвещения Абхазской и Аджарской АССР, заведующим отделами народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов республики, начальнику Управления народного образования Тбиггорисполкома:

— а) обеспечить обсуждение итогов I Республиканской олимпиады по русскому языку на секционных заседаниях учителей русского языка и литературы национальных школ;

— б) добиться более массового участия учащихся в школьном, районном (городском), зональном турах, для чего достаточное внимание уделить внеклассной работе, делу дальнейшего улучшения факультативных занятий и углубленного изучения русского языка и литературы;

— в) постоянно добиваться, чтобы предметные олимпиады стали на службу по выполнению постановления Центрального Комитета КПСС и Совета Министров СССР № 1111 от 22 декабря 1977 года.



7. Главному управлению снабжения Министерства просвещения Грузинской ССР (тов. О. Кереселидзе) выделить Республиканскому методическому центру Управления школ писчую бумагу в необходимом количестве для проведения олимпиады.

8. Планово-финансовому управлению Минпроса Грузинской ССР (тов. Т. Читадзе) в бюджете Республиканского методического центра на 1980 год предусмотреть нужные для проведения Олимпиады расходы.

9. Контроль за выполнением данного приказа возложить на начальника Управления школ тов. К. Суджашвили.

Основание: решение коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 23 октября 1980 года.

Министр

О. Д. КИНКЛАДZE

ПОЛОЖЕНИЕ



о Республиканской олимпиаде учащихся национальных школ по русскому языку и литературе

1. Олимпиада по русскому языку и литературе учащихся национальных школ проводится ежегодно с декабря по апрель Отделом русского языка и литературы Республиканского методического центра Министерства просвещения ГССР при участии Научно-исследовательского института педагогических наук им. Я. Гогешвили, Центрального и местных институтов усовершенствования учителей.

2. Целью олимпиады является повышение интереса учащихся общеобразовательных школ к русскому языку и литературе, содействие профессиональной ориентации, патриотическое и интернациональное воспитание школьников.

3. В олимпиаде могут принимать участие учащиеся VIII, IX, X классов.

4. Олимпиада проводится в 4 тура:

первый тур — школьный

второй тур — районный (городской)

третий тур — зональный

четвертый тур — Республиканский

Третий тур проводится в центре зоны, четвертый в городе, определенном Министерством просвещения ГССР.

5. Для руководства олимпиадой создаются:

а) школьные организационные комитеты, которые утверждает директор школы;

б) районные (городские) оргкомитеты, состав которых определяет и утверждает заведующий отделом народного образования района (города);

в) зональные оргкомитеты по представлению отдела народного образования, района (города), выделенного центром зоны согласно положению о проведении олимпиады по род-

лому языку. В них входят специалисты из центра зоны и районных (городских) оргкомитетов. Состав зонального оргкомитета утверждается заведующим отделом народного образования центра зоны;

г) республиканский организационный комитет, который утверждается Министерством просвещения ГССР.

6. Организационные комитеты олимпиады создают комиссии (жюри), которые составляют материалы для олимпиады. Республиканский организационный комитет определяет победителей олимпиады.

7. Школьный тур проводится в декабре 1980 г., районный (городской) — в январе, зональный — в марте, республиканский — в апреле 1981 года.

8. Участников школьного тура отбирают учителя данного предмета.

9. Школьный оргкомитет определяет победителей первого тура и направляет в отдел народного образования письменные работы и необходимые сведения о них.

10. Районный (городской) тур состоит из 4-х конкурсов:

а) перевод с родного языка на русский (письменно);

б) составление текста к сюжетным картинкам (в письменной форме 2-3 варианта);

в) монолог, в котором можно рассказать о своем родном крае, его революционном прошлом, о знатных людях-ветеранах Октябрской революции, Великой Отечественной войны или передовиках производства, деятелях культуры и искусства, о завоеваниях Октября, расцвете родного края, о дружбе грузинского и русского народов; их культурных литературных связях и ответить на 3-4 вопроса членов жюри.

Время: 4-8 минут.

г) чтение и пересказ незнакомого прозаического отрывка.

11. Списки победителей районного (городского) тура, заверенные отделом народного образования, а также письменные работы участников районные (городские) оргкомитеты



ҚАЗАҚСТАН
РЕСПУБЛИКАСЫ

ты пересылают организационному комитету зоны.

12. Зональный организационный комитет, получивший списки и письменные работы победителей районного (городского) тура, определяет окончательный состав участников зонального тура, который состоит из 4-х вышеуказанных конкурсов.

13. Зональный оргкомитет пересылает письменные работы и списки победителей республиканскому организационному комитету, который приглашает победителей зональных туров для участия в республиканском туре.

14. Республиканский тур состоит из четырех вышеуказанных конкурсов.

15. Для выполнения конкурсных письменных заданий дается 60 минут.

16. Конкурсные задания оцениваются по пятибалльной системе. Путем сложения выставленных баллов выводится общий балл. Для школьного районного (городского), зонального и республиканского туров общий балл — 20.

Проходные баллы — 18, 19, 20.



გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. ქუთაისისა და ტყვარჩელის, ქობულეთის, ლენინგორის, ბოლნისის, ლაგოდეხის, სიღნაღის, ქარელის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ

ქ. ქუთაისისა და ტყვარჩელის, ქობულეთის, ლენინგორის, ბოლნისის, ლაგოდეხის, სიღნაღის, ქარელის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ წარმოდგენილი ცნობის საფუძველზე (თან ერთვის) კოლეგია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ა :

1. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს ცნობა „ქ. ქუთაისისა და ტყვარჩელის, ქობულეთის, ლენინგორის, ბოლნისის, ლაგოდეხის, სიღნაღის, ქარელის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

— განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი ცნობაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

— კონკრეტული და ქმედითი დახმარება გაუწიონ მასწავლებლებსა და სკოლის ხელმძღვანელებს სასწავლო-ყიშრდებლობითი პროცესის სრულყოფის, სწავლების ხარისხის ამაღლების, საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების საქმეში;

— ამაღლონ მომთხოვნელობა და სკოლის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლების კანონის განხორციელების საქმეში;

— უმოკლეს ვადაში შეისწავლონ საყოველთაო სავალდებულო სწავლების მდგომარეობა, გადაამოწმონ სკოლების მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური ფორმები და უმკაცრესი ზომები მიიღონ იმ ხელმძღვანელთა მიმართ, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებას.

გატარებული ღონისძიებების შესახებ მოახსენონ განათლების სამინისტროს 1981 წლის 15 თებერვლამდე.

3. აღინიშნოს ლენინგორის, ბოლნისის, ლაგოდეხის, სიღნაღის, ონის, ყაზბეგის, წითელწყაროს რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეების (ნ. ხეტეევი, ე. გობეჯიშვილი, გ. ლობჯანიძე, რ. ბეჟაშვილი, გ. დგვარელი, ი. ჩქარეული, გ. ბილიაშვილი), ქ. ქუთაისის მე-10 და 26-ე, ლენინგორის მე-2 (ლენინგორის რაიონი), ახალსოფლის, ბერძენაულის (ქარელის რაიონი), ბოდბის (სიღნაღის რაიონი) სკოლების დირექტორების (ა. თოფჩიაშვილი, ლ. ზედაშიძე, ბ. ვალიევი, ა. ლურსმანაშვილი, დ. ბერუაშვილი, ვ. ხუციშვილი) არადამაკმაყოფილებელი მუშაობა განათლების სამინისტროს კოლეგიის 1979 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილების „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების შესახებ“ ცხოვრებაში გატარების საქმეში.

4. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს ინსპექტორებმა გააძლიერონ მუშაობა ზონაში საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

5. სკოლების სამმართველომ (ამხ. კ. სუჯაშვილი) 1981 წლის პირველ კვარტალში გადაამოწმოს საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობა რესპუბლიკის სკოლებში.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი

ო. ჭინჭლაძე



ქ. ქუთაისისა და ტყვარჩელის, ქობულეთის, ღვინჯორის, ბონისის, ლაგოდეხის, სიღნაღის, ქარელის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ მიმდინარე წლის სექტემბერში შეისწავლა საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობა რესპუბლიკის ორ ქალაქსა და ექვს რაიონში შერჩევით.

საკითხის ადგილზე შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ განათლების ადგილობრივი ორგანოები და სკოლის ხელმძღვანელები სათანადო ყურადღებას უთმობენ საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებას.

გასულ წელთან შედარებით მოცემულ რაიონებში განმტკიცდა სკოლების მატერიალური ბაზა. ექსპლუატაციაში შევიდა ახალი სასკოლო შენობები ქ. ქუთაისში, სოფელ ბობოყვათში (ქობულეთის რაიონი), რომლებიც აშენდა საინციატივო წესით, არახლოსა და კახრეთში (ბონისის რაიონი).

გასულ წელთან შედარებით რესპუბლიკის სკოლებში საგრძნობლად გაიზარდა 8 კლასის დროულად დამთავრების მაჩვენებელი, რაც 96,5% შეადგენს (1979 წ. — 93,7%). ამ მხრივ აღსანიშნავია ქ. ქუთაისის, რუსთავის, ტყიბულის, ახმეტის, საგარეჯოს რაიონები და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საყოველთაო საშუალო განათლების განხორციელებას. რვაკლასდამთავრებულთა ძირითადი ნაწილი სწავლას აგრძელებს დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მე-9 კლასში, სალამოს (ცვლის) სკოლებში, სპეციალურ საშუალო და პროფესიულ სასწავლებლებში.

საგრძნობლად შემცირდა მოსწავლეთა სკოლიდან არასაპატიო მიზეზით გასვლის შემთხვევები.

უკანასკნელ წელს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა სერიოზული მუშაობა ჩაატარეს მეორეწლიანობის აღმოფხვ-

რისათვის. დიდია იმ სკოლების რაოდენობა, რომლებიც წლების განმავლობაში მეორეწლიანობის გარეშე მუშაობენ. კარგ შედეგებს მიაღწიეს ამ საქმეში ქ. ქ. ფოთის, რუსთავის, ამბროლაურის, გორის, საგარეჯოს, თიანეთის, ხობისა და სხვა რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა. ყოველივე ამის შედეგად რესპუბლიკაში საგრძობლად შემცირდა მეორეწლიანთა რაოდენობა (იყო 7462, არის 4130).

საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის წარმატებით განხორციელებას დიდად უწყობს ხელს გახანგრძლივებული დღის ჯგუფები. აღსანიშნავია, რომ შემოწმებულ რეგიონებში საკმაოდ გაიზარდა გახანგრძლივებული დღის ჯგუფებისა და მათში გაერთიანებულ მოსწავლეთა რიცხვი. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ქობულეთის რაიონი, სადაც 25 სკოლაში გახსნილია 4 $\frac{1}{2}$ გახანგრძლივებული დღის ჯგუფი 1384 მოსწავლით, ხოლო სოფელ ქვედა სამებაში კოლმეურნეობის ინიციატივით გახსნილია გახანგრძლივებული დღის სკოლა 1046 მოსწავლით, სადაც უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის ორგანიზებულია დღის ძილი, სკოლის ყველა მოსწავლე გადაყვანილია უფასო კვებაზე.

ამასთან, საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების საქმეში კვლავ შეიმჩნევა სერიოზული ნაკლოვანებანი:

რიგი სკოლის ხელმძღვანელები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან ამ მნიშვნელოვან საკითხს. ლაგოდეხის, სიღნაღის, ქარელის რაიონებში (გამგეები: ვ. ლობჯანიძე, ს. ბეჟაშვილი, ვ. ბაქრაძე) საერთოდ არ ტარდება 6—15 წლის ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვა.

მიუხედავად იმისა, რომ განათლების სამინისტრომ 1976 წელს გაამრავლა და დაუზღავნა სკოლებს ინსტრუქცია 6—15 წლის ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის შესახებ, ლენინგორის, ლაგოდეხის რაიონების სახალხო განათლების ორგანოები და სკოლის მუშაკები საერთოდ არ იცნობენ ამ ინსტრუქციას და არც სათანადო სიები გააჩნიათ. ბოზოყვითის საშუალო სკოლაში მოსამზადებელ ჯგუფში ჩარიცხულ ბავშვთა რიცხვი ბევრად აღემატება აღწერის შედეგად წარმოდგენილ სიას.

ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომის საშუალო სკოლას, საერ-



თოდ, არ აქვს გამოყოფილი მიკროუბანი და არც სასოფლო სავსე
 აწვდის სკოლაში ჩასარიცხ ბავშვთა სიებს.

ხშირია შემთხვევები, როდესაც ირღვევა მოსამზადებელ — I კლასში მოსწავლის ჩარიცხვის წესი. მაგალითად, ზუთი წლის ასაკის შქონე ბავშვები ჩარიცხული ყავთ ლენინგორის მე-2 საშუალო (დირექტორი ბ. ვალიევი) და ლაგოდების რაიონის სოფელ გურგენიანის რეაწლიან (დირექტორი ა. თაბუკაშვილი) სკოლებში.

სიღნაღის რაიონის სოფელ მალაროს საშუალო სკოლაში (დირექტორი გ. მირაშვილი) გასულ სასწავლო წელს სწავლებაში ჩაუბმელი დარჩა 8 ექვსწლიანი ბავშვი იმ მოტივით, რომ ისინი გონებრივად ჩამორჩენილნი არიან (მედიკო-პედაგოგიური კომისია არ გაუვლიათ). იმის ნაცვლად, რომ სკოლის ხელმძღვანელობას ეზრუნა ამ ბავშვების სპეცსკოლა-ინტერნატში ჩარიცხვაზე, მან გამონახა უფრო იოლი გზა და აღნიშნული ბავშვები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში წელს ჩარიცხა.

მიუხედავად იმისა, რომ განათლების სამინისტრომ უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა რესპუბლიკის სკოლებში მოსწავლეთა მიერ 8 კლასის დროულად დამთავრების საკითხზე, რიგ რაიონებში კვლავ აღინიშნება 8 კლასის დროულად დამთავრების დაბალი მაჩვენებელი. მაგალითად, აფხაზეთის ასსრ-ში შეადგენს 92,5%, აჭარის ასსრ-ში — 93,2%, სამხრეთ ოსეთის ა/ო-ში — 53,2%, ქ. ჭიათურაში — 92,2%, ლაგოდების რაიონში — 87,5%, წალენჯიხის რაიონში — 91,0%, ასპინძის რაიონში — 92,7%, ბოგდანოვკის რაიონში — 93,0%, ცაგერის რაიონში — 93,7%, წითელწყაროს რაიონში — 94,1%, მცხეთის რაიონში — 94,4%, საჩხერის რაიონში — 94,5%.

ამასთან, აღინიშნება 8 კლასის დროული დამთავრების მაჩვენებლების შემცირება გასულ წელთან შედარებით ქ. გორში, აბაშის, ამბროლაურის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, გორის, დმანისის, ლაგოდების, მცხეთის, მესტიის, ხობის, წალენჯიხის, წულუკიძის, ჩოხატაურის რაიონებში.

რიგი სკოლის ხელმძღვანელი 8 კლასის დროულ დამთავრებაში კვლავ თვლის მხოლოდ იმ მოსწავლეებს, რომლებიც I კლასში ჩარიცხნენ მათდამი რწმუნებულ სკოლაში. მაგალითად, ქ. ქუთაისის

მე-10 საშუალო სკოლის (დირექტორი ა. თოფჩიაშვილი) მონაცემებით 8 კლასის დროული დამთავრება შეადგენდა 80%, შემოწმების შემდეგ კი — 97,1%-მდე გაიზარდა. ანალოგიური მდგომარეობაა 26-ე (დირექტორი ლ. ზედაშიძე) და სხვ. სკოლებში. სიღნაღის რაიონში დროული დამთავრების მაჩვენებელი ანალოგიურად 93%-დან 98%-მდე გაიზარდა (გამგე რ. ბეჟაშვილი).

დროული დამთავრების დაბალი მაჩვენებელი აღინიშნა ლენინგორის რაიონში — 89,7% (დირექტორი — ნ. ხეტევევი), ქარელის რაიონის სოფელ ახალსოფლის სკოლაში — 76,5% (დირექტორი ა. ლურსმანაშვილი), სოფელ ბერძენაულის რვაწლიან სკოლაში — 87,5% (დირექტორი დ. ბერუაშვილი).

ბოლნისისა და ლაგოდეხის რაიონებში (გამგეები ე. გობეჯიშვილი, გ. ლობჯანიძე) დროული დამთავრება არ არის სწორად დადგენილი. ლაგოდეხის სახალხო განათლების განყოფილება იძლევა ცნობას, რომ 1036 რვაკლასდამთავრებულთაგან 1972 წელს I კლასში სწავლობდა 1056 ბავშვი.

რიგ სკოლაში სათანადო ყურადღება არ ეთმობა სასკოლო დოკუმენტაციის წარმოებას. სკოლებს არ გააჩნიაა დასტურები გასულ მოსწავლეებზე. მაგალითად, შემოწმების დღისათვის ლენინგორის მე-2 საშუალო სკოლას (დირექტორი ბ. ვალიევი) არ ქონდა დასტური 2 მოსწავლეზე, სოფელ ორჭოსანის საშუალო სკოლას (დირექტორი ა. დრიაევი) — 4-ზე, სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევის სკოლას — 2-ზე. ლაგოდეხის რაიონში კი სკოლებს, საერთოდ, არ აქვთ დასტურები.

ხშირია შემთხვევა, როდესაც მოსწავლე წასულია მოცემული სკოლიდან, მაგრამ არის აღნიშნული ალფაბეტურ წიგნში, და თუ არის, აღნიშნული არ არის თარიღი და ბრძანების ნომერი (ქუთაისის მე-10, 23-ე სკოლები, დირექტორები — ა. თოფჩიაშვილი, მ. გურგენიძე).

სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბის საშუალო სკოლაში მოუწესრიგებელია მოსამზადებელი კლასის მოსწავლეთა პირადი საქმეები. არც ერთ განცხადებას არ ადევს დირექტორის რეზოლუცია ბავშვის სკოლაში ჩარიცხვის შესახებ, არც ერთს არ აქვს ჯანმრთელობის ცნობა.

არის შემთხვევები, როდესაც სკოლის მუშაკები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ მოსწავლეთა კონტინენტის გეგმიურ დავალებათა შესრულებასა და მის შენარჩუნებას. მაგალითად, ლაგოდენის რაიონში მოსწავლეთა კონტინენტის გეგმა შესრულებულია 98%-ით, ბოლნისის რაიონში — 99,7%-ით, სიღნაღის რაიონში — 99,3%-ით (აქედან მე-9—10 კლასებში 94,6%).

ადგილი აქვს სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვას. მაგალითად, ქ. ტყვარჩელში გასულ სასწავლო წელს განთესილი იყო 13 მოსწავლე, მათგან სკოლას დაუბრუნდა მხოლოდ 9. ამჟამად განთესვაშია — 4 (1-ლი, მე-4, მე-5 სკოლები), ბოლნისის რაიონში — 5.

სათანადო ყურადღება არ ეთმობა ავადმყოფ ბავშვთა ბინაზე მეცადინეობას, რის გამოც იზრდება არასაპატიო მიზეზით სკოლიდან გასულ მოსწავლეთა რიცხვი. მაგალითად, ქობულეთის რაიონში აღრიცხულია 76 ავადმყოფი ბავშვი, შემოწმების დღისათვის ბინაზე მეცადინეობა უტარდება მხოლოდ 15-ს, ბოლნისის რაიონში ბინაზე მეცადინეობა არ უტარდება 8 ავადმყოფ მოსწავლეს.

მოუწესრიგებელია გონებრივი და ფიზიკური ნაკლის მქონე სასკოლო ასაკის ბავშვების სწავლებაში ჩაბმის საკითხი. ქ. ტყვარჩელში სწავლების გარეშე დარჩენილია 2 მოსწავლე, ლაგოდენის რაიონში 73 ბავშვიდან სწავლებაში ჩაბმულია მხოლოდ 3.

სიღნაღის რაიონის სკოლებსა და სახალხო განათლების განყოფილებას არ გააჩნიათ ფიზიკური და გონებრივი ნაკლის მქონე ბავშვთა აღრიცხვა, თუმცა ცალკეულ სკოლებში ასეთი ბავშვები სხვადასხვა კლასებში სწავლობენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სიღნაღის რაიონში არსებობს სპეციალური სკოლა-ინტერნატი.

საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებას დიდად უშლის ხელს მეორეწლიანობა. ამ საკითხში არსებული საერთო მიღწევები არ იძლევა მეორეწლიანობის აღმოფხვრის საფუძველს. ამდენად, გატარებული ღონისძიებები დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან მთელმა რიგმა რაიონებმა ვერ გამოიტანეს სათანადო დასკვნები განათლების სამინისტროს კოლეგიის 1980 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებიდან „1979 წლის შედეგებისა და საქართველოს სსრ სახალხო განათლების სისტემის განვითარების 1980 წლის ამოცანების შესახებ“, რომელშიც გაისა-

კუთრებული ყურადღება იყო გამახვილებული მეორეწლიანობის აღმოსაფხვრელად გასატარებელ ღონისძიებებზე.

ამ მხრივ აღსანიშნავია აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქ. ზუგდიდის, გარდაბნის, ყაზბეგის, ქარელის, ლენტეხის, მესტიის, ონის, წითელწყაროს რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების არაღამაკმაყოფილებელი მუშაობა. უფრო მეტიც, ახალციხის, გარდაბნის, ყაზბეგისა და წითელწყაროს რაიონებში მეორეწლიანობა არა თუ შემცირდა, არამედ გასულ წელთან შედარებით უფრო გაიზარდა.

მოწესრიგებას მოითხოვს გახანგრძლივებული დღის ჯგუფებისა და სასკოლო ინტერნატების მუშაობა. მთელ რიგ სკოლაში გახანგრძლივებული დღის ჯგუფების გახსნისას არ არის გათვალისწინებული მუშაობის პირობები: ცხელი კერძებით კვება, გასართობი და დასასვენებელი ოთახები, ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე პირობებია ქობულეთის 1-ლ (დირექტორი — მ. ჩანტლაძე), ლაგოდეხის რაიონის სკოლებში (გამგე — გ. ლობჯანიძე).

ლენინგორის რაიონის სკოლებში (გარდა 1-ლი საშუალო სკოლისა) საერთოდ არ გააჩნიათ მშობლის განცხადება ბავშვის გახანგრძლივებული დღის ჯგუფში ჩარიცხვის შესახებ. შემოწმების დროს ჯგუფებში დასწრება არაღამაკმაყოფილებელი იყო, გარდა იკორთის სკოლისა.

მოუგვარებელი რჩება მოსწავლეთა კვების საკითხი. ჯერ კიდევ არის სკოლები, რომელთაც არ გააჩნიათ არც სასადილო და არც ბუფეტი, მთელ რიგ სკოლებში არაღამაკმაყოფილებელია პროდუქტებით მომარაგება.

მოუწესრიგებელია 3 კმ და მეტი მანძილით სკოლიდან დაშორებით მცხოვრებ მოსწავლეთა ტრანსპორტირება. უფასო ტრანსპორტით გადაყავთ ბავშვები იქ, სადაც მოძრაობს სარეისო ავტობუსი, ხოლო დანარჩენი ტერიტორიებიდან ბავშვები ფეხით დადიან. ქობულეთის რაიონში მათი რიცხვი შეადგენს 80 ბავშვს. ლენინგორის რაიონში (იკოეთი) 25 მოსწავლე დადის ფეხით 8-9 კმ მანძილზე. ქარელის რაიონში 706 მოსწავლიდან უფასო ტრანსპორტით გადაყავთ მხოლოდ 392, რაც შეადგენს 55,5%.

მოწესრიგებას მოითხოვს სოფლის სკოლების მატერიალური

ბაზა. მაგალითად, ქობულეთის მე-3 საშუალო სკოლა შენობის უვ-
არგისობის გამო დროებით მოთავსებულია მე-5 საშუალო სკოლის
შენობაში. რაიონის 9 სკოლა მოთავსებულია უვარგის შენობაში,
ხოლო ავარიულში — 3, ლენინგორის რაიონში ავარიულ შენობაშია
ორი რვაწლიანი სკოლა (აბრევის, შოლდის), ლაგოდეხის რაიონში
— 5, ქარელის რაიონში — 6.

ამასთან, კვლავ დიდია ორ ცვლაში მომუშავე სკოლების რიცხვი.
ქ. ტყვარჩელში 8 სკოლიდან 6 მუშაობს ორ ცვლაში 741 მოსწავ-
ლით, ქობულეთის რაიონში — 15 სკოლა 1541 მოსწავლით, ბოლ-
ნისში — 26 სკოლა 5040 მოსწავლით, ლაგოდეხში — 18 სკოლა 2531
მოსწავლით, სიღნაღში — 7 სკოლა 875 მოსწავლით.

ნაკლოვანებანი გამოვლინდა საყოველთაო სავალდებულო სწავ-
ლების ფონდის ათვისების საქმეში. სიღნაღის რაიონის სკოლებს გა-
მოეყოთ ათი ათასი მანეთი. მათგან რამდენია ათვისებული, არ არის
დაზუსტებული, მასალები აღნიშნული ფონდის ათვისების შესახებ
არ გააჩნიათ ბოდბისხევის, მაღაროსა და ბოდბის საშუალო სკოლებს.
ბოდბის საშუალო სკოლის დირექტორმა ვ. ხუციშვილმა საერთოდ
არ იცის რა თანხა გამოეყო მის სკოლას და რამდენია ათვისებული.

ლაგოდეხის მე-3 საშუალო სკოლას (შ. ჭინჭარაძე) არ გააჩნია
ხელმოკლე ოჯახების აღრიცხვა.

ქარელის რაიონის სკოლებს წლების მანძილზე დაუგროვდა
ათვისებელი თანხა 41097 მანეთი, წლიური ბიუჯეტი კი შეადგენს
7 ათას მანეთს.

სკოლების სამმართველო

გ ა ლ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა


სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნა-განახლების საქმეში რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მიერ გაწეული მუშაობის შედეგად.

სკკბ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 24 ნოემბრის № 1029, საქართველოს კბ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 21 თებერვლის № 126 დადგენილებები „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უფასოდ სარგებლობაზე გადაყვანის შესახებ“ დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს სახალხო განათლების ორგანოებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის საქმეში.

დღეისათვის რესპუბლიკის ყველა ტიპის სკოლებში სახელმძღვანელოებით უფასოდ სარგებლობაზე გადასულია 0, 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 კლასების მოსწავლეები; შემუშავდა და რესპუბლიკის ყველა ტიპის სკოლას დაეგზავნა ინსტრუქცია „სასკოლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნა-განახლების, მათი სარგებლობის წესისა და ლიტერატურის დაცვის ღონისძიებათა შესახებ“.

მოსწავლეებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა ყველა კატეგორიის მსმენელთათვის გაითვალისწინა ლექციები სასკოლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნა-განახლებისა და მისი გამოყენება-შენახვის საკითხებზე. ტარდება როგორც ზონალური, ისე რესპუბლიკური თათბირები ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების ხელმძღვანელი მუშაკების, საბიბლიოთეკო ფონდებზე მომუშავე მეთოდისტებისა და სასკოლო ბიბლიოთეკარებისათვის. ეწყობა რადიოგადაცემების ციკლი სახელმძღვანელოებისადმი სათუთი მოპყრობის ჩვევების აღზრდის მიზნით.

მიმდინარე წლის სექტემბერის თვეში შესწავლილ იქნა აბაშის,



კასპის, ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის სახალხო განათლების ორგანოებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მიერ გაწეული მუშაობა სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნა-განახლების საქმეში.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ზემოაღნიშნული რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა და სკოლების პედაგოგიური კოლექტივების მიერ სერიოზული მუშაობაა ჩატარებული სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნა-განახლების საქმეში, მოსწავლეები მაქსიმალურად არიან ინფორმირებული სახელმძღვანელოებით სარგებლობის ახალი წესის შესახებ.

სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნა-განახლების საქმეს სერიოზულად მოეკიდნენ კასპისა და (გამგე გ. შაქარაშვილი, მეთოდისტი ნ. თარხნიშვილი) და ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის (გამგე რ. ვახელაძე, მეთოდისტი ნ. წეროძე) სახალხო განათლების ორგანოები. აღნიშნულ რაიონებში დიდი მუშაობაა ჩატარებული პარტიისა და მთავრობის დიდმნიშვნელოვანი დადგენილების პრაქტიკაში განსახორციელებლად — სახელმძღვანელოების უფასო სარგებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით.

ამ რაიონის სკოლების ხელმძღვანელები და პედაგოგიური კოლექტივები კარგად იცნობენ ყველა სახის სადირექტივო წერილებს; რასაც ვერ ვიტყვით შემოწმებულ სხვა რაიონებზე.

სახელმძღვანელოები დამუშავებულია არსებული წესის შესაბამისად; ფონდირებული კლასების უკლებლივ ყველა მოსწავლე დაკმაყოფილებულია სახელმძღვანელოებით. აქვე უნდა აღინიშნოს ცალკეული ნაკლოვანებების შესახებ: სკოლების ბიბლიოთეკებთან არ ფუნქციონირებს წიგნების შემკეთებელი წრეები, რის გამოც ხშირია შემთხვევები, როცა ფურცლებამოვარდნილ და ყდამემოცილ წიგნებს ყოველგვარი შეკეთების გარეშე გადასცემენ მოსწავლეებს. სკოლებში ყოველთვის არ არის ადგილზე ფაქტურით მიღებული სახელმძღვანელოების რაოდენობა. მაგ.: ქ. თბილისის მე-18 საშუალო სკოლას (დირექტორი ლ. მაგლობლიშვილი) მე-4 კლასის 71 მოსწავლეზე მიღებული აქვს სახელმძღვანელოს 78 კომპლექტი, ადგილზე კი აღმოჩნდა 73. ცალკეული სკოლების კუთვნილი წიგნები სკოლების და ზოგჯერ რაიონების ფარგლებს გარეთ არის გაცემული. მაგ.: თბილისის მე-18 საშუალო სკოლის მოსწავლე დავითულიანს

აღმოაჩნდა გლდანის რაიონის 115-ე საშუალო სკოლის კუთვნილი სახელმძღვანელო, ხოლო მოსწავლე უჯმაჯურიძეს ბოლნისის რაიონის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის საშუალო სკოლის კუთვნილი სახელმძღვანელო საინვენტარო ნომრით 36.

უნდა აღინიშნოს, რომ შემოწმებული რაიონების სახალხო განათლების ორგანოებისა და სკოლების მიერ გაწეული მუშაობა სასკოლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნა-განახლების საქმეში ხასიათდება მთელი რიგი ნაკლოვანებებით.


ყოველად შეუწყნარებელია ამ მიმართულებით აბაშის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების (ამხ. ა. ცანავა) მიერ ჩატარებული მუშაობა. სკოლებში დანერგილია სახელმძღვანელოების მიღებისა და განაწილების არასწორი წესი. ფონდირებული სახელმძღვანელოები აღრიცხვაზე არაა აყვანილი. მიუხედავად იმისა, რომ რაიონის სკოლებს მიღებული აქვთ სასკოლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების სააღრიცხვო ყურნალები, საკატალოგო ბარათები, არ ხდება მათი დანიშნულებისამებრ წარმოება. სახელმძღვანელოები არაა დამუშავებული საბიბლიოთეკო წესით, არა აქვთ დასმული თეგი, არ წარმოებს მათი ინვენტარიზაცია. სახელმძღვანელოები მოუვლელი, ფურცლებამოცვენილი და ყდაშემოგლეჯილია, სასკოლო ბიბლიოთეკებში გამოყოფილია „წიგნის შემკეთებელი კუთხეები“, რომლებიც ფაქტიურად არ ფუნქციონირებენ. ტყვიარის საშუალო სკოლაში (დირექტორი გ. ქორჩილავა, ბიბლიოთეკარი ზ. ცომიაი) ოთხი წლის ვადით დასტამბული სახელმძღვანელოების 70%-ზე მეტი აქტივთაა ჩამოწერილი და უკვე მეორე წელს აღარ ვარგა გამოსაყენებლად, სკოლები კი ახალი სახელმძღვანელოების მხოლოდ 20%-ს ღებულობენ. სკოლებში არაა ფონდირებული სახელმძღვანელოების სავალდებულო რეზერვი. „მსოფლიო საბავშვო ლიტერატურის“ სერიის წიგნები განათლების განყოფილების ზერელე და უგულისყურო დამოკიდებულების შედეგად კერძო პირებზეა გაყიდული. ამ საკითხში არსებული სავალალო მდგომარეობა ნაწილობრივ გამოსწორდა მას შემდეგ, რაც რაიონში დაინიშნა საბიბლიოთეკო ფონდების მეთოდისტი ამხ. ლ. ტყებუჩავა (1980 წლის 15 თებერვალი), რომელიც მთელი პასუხისმგებლობით ეკიდება მასზე დაკისრებულ მოვალეობას, დროის მცირე მონაკვეთში მან შეძლო დაეტყო თავისი ხელი ცალკეული სკოლებისათვის; ქ. აბაშის მე-2

საშუალო სკოლას (დირექტორი ა. თოფურია, ბიბლიოთეკარი ლ. კა-
ჭარავა) ფონდირებული სახელმძღვანელოებისათვის ცალკე-
მოყოფილი ოთახი, ნახმარი სახელმძღვანელოებისათვის — ცალკე-
ბიბლიოთეკა ცალკე ოთახში იმყოფება; ცალკე კუთხე აქვს გამო-
ყოფილი მეთოდურ და დამხმარე ლიტერატურას, თითოეული ახალ-
მიღებული ლიტერატურის სია მიღებისთანავე ქვეყნდება სამასწავ-
ლებლოში, რითაც მასწავლებელი ოპერატიულად გებულობს თავის
საგანში მომხდარი სიახლეების შესახებ.

რაიონში სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების
შექმნა-განახლების საქმეში არსებული დარღვევების მიზეზი უნდა
ვეძებოთ განათლების განყოფილების გამგის აშხ. ა. ცანავას ამ საქ-
მისადმი არასერიოზულ დამოკიდებულებაში — სახელმძღვანელოე-
ბის საბიბლიოთეკო ფონდების შექმნა-განახლებისადმი მიძღვნილ
არც ერთ რესპუბლიკურ თუ ზონალურ თათბირზე ის არ გამოცხა-
დებულა.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის (გამგე გ. ძაგოვეი, მე-
თოდისტი რ. ენალდიევი) განათლების განყოფილებაში არაორგანი-
ზებულად ჩატარდა უფასო სარგებლობის სახელმძღვანელოების შე-
ტანა სკოლებში, 8 სექტემბრამდე მოსწავლეები სკოლებში დადიო-
დნენ ცარიელი ჩანთებით, რადგან 28 დასახელების სახელმძღვანელო
არ იყო შეტანილი ამ დროისათვის სკოლებში. ოლქის სკოლებში
არადაამაკმაყოფილებლად დგას სახელმძღვანელოების საბიბლიოთე-
კო ფონდების შექმნა-განახლების საკითხი. სახელმძღვანელოების დი-
დი ნაწილი მწყობრიდანაა გამოსული, არ წარმოებს მათი დამუშა-
ვება საბიბლიოთეკო წესით. სახალხო განათლების საოლქო განყო-
ფილებას არც კოლეგიაზე, არც თათბირებზე არც ერთხელ არ გა-
ნუხილავს სახელმძღვანელოების მოვლა-პატრონობისადმი მიძღვნი-
ლი საკითხი.

მიუხედავად იმისა, რომ განათლების სამინისტროს მთელი რიგი
ცირკულარული წერილები აქვს დაგზავნილი სახალხო განათლების
ადგილობრივი ორგანოებისადმი სკოლებისათვის განკუთვნილ
„მსოფლიო საბავშვო ლიტერატურის“ სერიით გამოცემულ უნიკა-
ლურ წიგნებზე, რიგი რაიონების განათლების განყოფილებათა გამ-
გეების ინერტულობისა და უგულისყურობის შედეგად სკოლებმა
დაკარგეს აღნიშნული წიგნები, რომლებიც კერძო პირებზე გაიყიდა.



ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი რაიონის სახალხო განათლების ორგანოები არასერიოზულად ეკიდებიან განათლების მინისტროში სახელმძღვანელოების დასაკვეთი ლიმიტის წარმოდგენის საკითხს — ლიმიტები უსწოროდაა შედგენილი, რის გამოც გაუთავებლად იგზავნება წერილები სახელმძღვანელოების დამატებით გამოსაყოფად, განსაკუთრებით ხშირია მოსამზადებელი კლასებისათვის სახელმძღვანელოების დამატებით მოთხოვნის შემთხვევები (ლენტეხი — ი. ჩანქსელიანი, თელავი — ა. თვალთაშვილი, ჩოხატაური — მ. კეკელიძე, გურჯაანი — ვ. კახაბერი, საგარეჯო — ნ. ჭანტურია, მახარაძე — მ. ხავთასი).

კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

1. 1. საფუძვლიანად შეისწავლონ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 24 ნოემბრის № 1029, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 21 თებერვლის № 126 დადგენილებათა განხორციელების მიმდინარეობა;

1. 2. აამაღლონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელთა ორგანიზატორული მუშაობის დონე მოსწავლეთა შორის სასკოლო სახელმძღვანელოებისადმი, როგორც სახელმწიფო ქონებისადმი, შეგნებული მზრუნველი დამკვიდბულების აღზრდის მიზნით; გადაჭრით გააუმჯობესონ კონტროლის ეფექტურობა მოსწავლეთა მიერ სახელმძღვანელოების მოვლა-დაცვის მდგომარეობაზე;

1. 3. განახორციელონ რესპუბლიკის ყველა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში საბიბლიოთეკო ფონდში არსებული სასკოლო სახელმძღვანელოების მკაცრი აღრიცხვა;

1. 4. იმასთან დაკავშირებით, რომ ყოველწლიურად იზრდება ფონდირებული სახელმძღვანელოების რიცხვი, მათი უკეთ მოვლა-დაცვის მიზნით, დროულად იზრუნონ სათანადო ფართის გამოყოფაზე სკოლის ბიბლიოთეკისაგან განცალკევებით;

1. 5. შეუქმნან სათანადო სამუშაო პირობები სასკოლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების მეთოდისტებს. აღნიშნ



ნული საშტატო ერთეულები გამოყენებულ იქნას მხოლოდ დაწინა-
 ნულებისამებრ.

2. სასკოლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების
 შექმნა-განახლებისა და დაცვის საქმეში არსებული ნაკლოვანებები-
 სათვის აბაშის რაიონის სოფელ ტყვირის საშუალო სკოლის დირექ-
 ტორს გ. ქორჩილავას მიეცეს შენიშვნა.

3. სკოლების საქმიანობაზე არასათანადო ხელმძღვანელოებისა-
 თვის, რამაც რაიონის რიგ სკოლებში უფასო სახელმძღვანელოების
 საბიბლიოთეკო ფონდების შექმნა-განახლებისა და ლიტერატურის
 დაცვის საქმეში გამოიწვია სერიოზული ნაკლოვანებანი, აბაშის რა-
 იონის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ა. ცანავას
 მიეცეს შენიშვნა.

4. აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი და-
 ევალოს სახელმძღვანელოების სამმართველოს (ამხ. ნ. ლლონტი).

კოლეგიის თავმჯდომარე,
 მინისტრი

მ. ქინქლაძე



გადაწყვეტილება — რესპუბლიკის სანატორიული ტიპის სკოლა-ინტერნატში სასწავლო-აღმზრდელით და სამეურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გაუმჯობესების შესახებ

3

გადაწყვეტილება — 1980 წელს ჩატარებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა ატესტაციის შედეგად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის სიგელით დაჯილდოების შესახებ

11

გადაწყვეტილება — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსების 50-ე წლისთავის აღნიშვნის შესახებ

28

გადაწყვეტილება — მომუშავე ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო დონის ამაღლების საქმეში ცხაკაიის რაიონის დასწრებულ-დაუსწრებელი საშუალო სკოლისა და წარმოება-დაწესებულებათა ერთობლივი მუშაობის გამოცდილების შესახებ

34

გადაწყვეტილება — რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 1980—1981 სასწავლო წლის დაწყების შედეგების შესახებ

43

ბრძანება № 696 — საბჭოთა კავშირის გმირის, გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძის სახელობის რესპუბლიკური სპეციალიზებული საშუალო სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა კონტინგენტით დაკომპლექტების შესახებ

51

დადგენილება — ნორჩ მზაზველთა მე-18 რესპუბლიკური კონკურსის შედეგებისა და მე-19 რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ

54

გადაწყვეტილება — მოსწავლეთა მე-13 რესპუბლიკური ლიტერატურული ოლიმპიადის შედეგებისა და მე-14 ოლიმპიადისათვის მზადების შესახებ

68

Приказ № 733 — о мерах по совершенствованию преподавания русского языка в грузинских общеобразовательных школах республики, расширению сети школ и классов с углубленным изучением русского языка

79

Приказ № 734 — об итогах I Республиканской олимпиады учащихся национальных школ по русскому языку и литературе и мерах по проведению II Республиканской олимпиады

82

გადაწყვეტილება — ქ. ქ. ქუთაისისა და ტყვარჩელის, ქობულეთის, ლენინგორის, ბოლნისის, ლაგოდეხის, სიღნაღის, ქარელის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ

90

გადაწყვეტილება — სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შექმნა-განახლების საქმეში რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

99



საგარეო საკითხების
მინისტრის



რედაქტორი ე. ქურციკიძე
ტექნორედაქტორი ა. ბაკურაძე
კორექტორი ლ. დოლიძე

გადაეცა ასაწყობად 20/IV-81 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/VI-81 წ.;
ანაწყობის ზომა 6×9; ქაღალდის ზომა 60×84; ნაბეჭდი თაბახი 6,10
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,7;

შეკვ. № 454 უკ 13862 ტ. 6 000

უზახსო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიდის ქ. № 7.

Типография Министерства просвещения ГССР, ул. Нуцубидзе № 7.

92-81

81-580
041935741
802-0190933